ზაზა ალექსიძე

არსენი საფარელის ანტიმონოფიზიტური ტრაქტატის — „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“ — დათარიღებისათვის

(„სჯული იაკობთაჲ“)

არსენი საფარელის ანტიმონოფიზიტური ტრაქტატის — „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“ — დაწერის თარიღს სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ: 685 (690)—700 წწ. (ს. კაკაბაძე)[1], 726—736 წწ. (პ. ინგოროყვა)[2], IX ს-ის 60-იან წლებში (კ. კეკელიძე, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ივ. ჯავახიშვილი)[3], 961 წლის ახლო ხანებში (თ. ჟორდანია)[4], XI ს-ის I ნახევრის შემდეგ (ზ. ალექსიძე)[5]. წინამდებარე წერილი ბოლო მოსაზრების განმტკიცების კიდევ ერთი ცდაა.

> „და მოუვლინეს მეფესა (სომხებმა. — ზ. ა.) მწუხარებით და ითხოვეს სჯული იაკობთაჲ, რამეთუ სხუანი ყოველნი უძვირეს შეჰრაცხნეს... ხოლო მეფე დაჯერებულ იქნა და მიუვლინნა მოძღუარნი იაკობნი ბოროტნი ცხრანი... და მათ განრყუნეს ქუეყანაჲ სომხითისაჲ, შრომილი წმიდისა გრიგოლისი..., რომელთა სახელები ესე არს: აბდიშოჲ, პეტროზ მკაწრველი, სჳმონ

---

1 ს. კაკაბაძე, როდის არის დაწერილი ტრაქტატი — „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“? „საისტორიო ძიებანი“, თბ.. 1924, გვ. 38—55; მისივე, ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები, ტფ., 1928, გვ. 11—24; „საისტორიო კრებული“, I, 1928, გვ. 124. უფრო ადრინდელ ნაშრომში ს. კაკაბაძე არსენი საფარელს IX ს-ის კათალიკოსად მიიჩნევდა (იხ. მისი, წმიდა ნინო და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში, ტფ., 1912, გვ. 6).

2 პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა; „მნათობი“. 1939, № 10—11.

3 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I. თბ., 1960, გვ. 136—140; ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ 1920 წელს მოსკოვში წაკითხული მოხსენების შესახებ ცნობისათვის იხ. Известия Кавказского Археологического Общества, вып. VI, Тфл., 1921, გვ. 55; იხ. აგრეთვე, Լ. Մելիքսեթ-Բեկ, Վրաց աղբյուրները Հայաստանի յեվ հայերի մասին, Ցեր., 1934, გვ. 27—34; Л. Меликсет-Бек, К вопросу о датировке псевдо-Исааковых памфлетов, „Византийский Временник“, VIII, 1956; ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 83—86.

4 თ. ჟორდანია, ქრონიკები. I, ტფ., 1892, გვ. 309.

5 ზ. ალექსიძე, არსენი საფარელის ტრაქტატის — „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“ — დათარიღებისათვის. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის VIII სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1966, გვ. 10; მისივე, „ნაწილი სომხითისაჲ“ არსენი საფარელის თხზულებაში — „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1972, №2; მისივე, არსენი საფარელის ტრაქტატის — „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“ — კრიტიკისათვის (i. d. ანაქრონიზმები). „მაცნე“. ისტორიის სერია, 1972, № 4; მისივე, არსენი საფარელის ტრაქტატის „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“ დათარიღებისათვის („ნერსე ვინმე“), „მაცნე“, ისტორიის სერია, 1975, № 4; მისივე, არსენი საფარელის წყაროებისათვის, საიუბილეო კრ.: ივ. ჯავახიშვილი— 100, თბ., 1976.

9. „მაცნე“, ისტორიის სერია, №2, 1976.

ბოროტი, იაკობ. და თანა ჰქონდეს წიგნნი ფილაქოსისნი, ივლიანესნი ალიკარნელისანი, ტიმოთე კუერნი და სევეროს ნაბიკელი"[6].

1. VI ს-ის დასაწყისიდან მონოფიზიტური მრწამსის მიმდევრები ქრისტეს ხორცის შეფასების საკითხში ორ მოცილე ბანაკად გაიყვნენ. ერთს სათავეში ჩაუდგა სევეროს ანტიოქელი (465—538), ხოლო მეორეს — ივლიანე ჰალიკარნასელი (+527 წ-მდე). მათ მიმდევრებს შესაბამისად **სევერიანები** და **ივლიანიტები** ეწოდათ.

სევერიანთა ქრისტოლოგიური დოქტრინა: ძე ღვთისას ღვთაებრივ ბუნებას მთლიანად არ შთაუნთქამს კაცებრივი, თუმცა კი ამ უკანასკნელს განხორციელების შემდეგ თავისი სუბსტრატი დაუკარგავს და დარჩენილა მხოლოდ ადამიანურ თვისებათა ჯამი, მაგრამ ეს თვისებები რეალურად არსებობენ მასში. თუ ასეა, მაშინ ქრისტეს სხეული ისევე ხრწნადია, როგორც ყველა სხვა ჩვეულებრივი მოკვდავისა. ქრისტოლოგიის ამ ძირითად საკითხში სევერიანები მონოფიზიტურ მიმდინარეობებს შორის ყველაზე უფრო უახლოვდებოდნენ დიოფიზიტებს.

ივლიანიტების ქრისტოლოგიური დოქტრინა: ძე ღვთისა შეიმოსა არა ცოდვილ ადამიანთა, არამედ ღვთაებრივი ადამიანის, ცოდვამდელი ადამის ხორცით. ამიტომ განხორციელება იმდენად სრული აღმოჩნდა, რომ ქრისტეს კაცებრივი ბუნების თვისებებს ღვთაებრივი ხასიათი მიენიჭა. თუ ასეა, მაშინ ქრისტეს ხორციც ღვთაებრივი და უხრწნადი ყოფილა.

სევერიანულ სექტას 542/3 წლებიდან სათავეში ჩაუდგა იაკობ წანწალოსი (ბერძნ. Τζάντζαλος), ბარადაიოსი (სირ. burd'ana „ჩამოფლეთილი"), ედესის ეპისკოპოსის (+578 წ.). იაკობს თავისი მოძღვრება არ შეუქმნია და სევერიანულ იდეებს უცვლელად ქადაგებდა, მაგრამ მან მოახერხა იერარქიული ორგანიზაციისა და დამოუკიდებელი ეკლესიის ჩამოყალიბება, რომელიც დღემდე იაკობიტურის სახელით არის ცნობილი. მისი სახელი მიიღო სევერიანულმა მოძღვრებამაც, რომელსაც უწოდებენ როგორც „იაკობიტურს", ისევე „სევერიანულ-იაკობიტურს". ე. წესტლეს გამოკვლევების შემდეგ დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია, რომ სევერიანული სექტის ოფიციალურ სახელწოდებად „იაკობიტობა" გაფორმდა VII მსოფლიო (ნიკეის II) საეკლესიო კრებაზე 787 წელს[7]. ამ დებულებას, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ კრიტიკული შემოწმება სჭირდება, ვინაიდან ბერძნული წარმოშობის ტერმინის „იაკობიტის" სომხური ვარიანტი „იაკობიკ" (*յակովբիկ*) დამოწმებულია ხოსროვიკ თარგმანის თხზულებაში, რომელსაც 746/7 წლით ათარიღებენ[8]. ყოველ შემთხვევაში, არსენი საფარელის თხზულების დათარიღება VI ს-ის მიწურულით ან VII ს-ის დამდეგით მა-

[6] არსენი საფარელი, განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა, გამოსცა ზ. ალექსიძემ. „ქართული წყაროთმცოდნეობა", IV. თბ., 1973, III, გვ. 135.

[7] E. Nestle, Jakobiten: Realencyclopädie für Protestantische Kirche und Theologie, VIII, 1900, გვ. 565—571; F. L. Gross, The Oxford Dictionary of Christian Church, გვ. 709.

[8] **Խոսրովիկ Թարգմանիչ, Երկասիրութիւնք, հրատ. Գաբեգին Վ. Յովսեփեան, Վղ. 1899,** გვ. 154—155, **Ե. Տէր-Միքայելեան, Յայոց եկեղեցւոյ յարաբերութիւնները Ասորւոց եկեղեցիների հետ, էջմ., 1908,** გვ. 218; La Narratio de rebus Armeniae, éd. par G. Garitte, Louvain, 1952, გვ. 126. უახლეს სპეციალურ ენციკლოპედიაში ამ ტერმინის წარმოშობა უკვე 575 წლის შემდეგი ხანით არის განსაზღვრული. იხ. New Catholic Encyclopedia, VII, გვ. 795.

ნამდე არ მოხერხდება, სანამ არ არის მოხსნილი საბოლოოდ ტერმინ „იაკობიტის“ („სჯული იაკობთაჲ“) მხოლოდ 787 წლიდან შემოღება.

დავუშვათ, ტერმინ „იაკობიტის“ შემოღების თარიღი ჯერ კიდევ არ არის აბსოლუტური სიზუსტით განსაზღვრული. მაშინ საჭირო ხდება დადგინდეს, თუ როდიდან შეიძლებოდა ქალკედონიტებს სომხები იაკობიტებად (სეველრიანებად) მიეჩნიათ მათი მრწამსის მიხედვით.

726 წლის მანაზკერტის კრებამდე სომხური ეკლესიის მრწამსი აშკარად ივლიანიტურია. საეკლესიო დოკუმენტაციაში დაწყევლილ ერესიარქებს შორის იხსენიება სეველოს ანტიოქელი, მაგრამ არსად არა გვხვდება ივლიანე ჰალიკარნასელის სახელი.

სომეხთა კათალიკოსი ნერსეს II აშტარაკელი (549—556) VI ს-ის 50-იან წლებში წერს სირიელ ივლიანიტებს („ასურელ მართლმადიდებლებს“):

> „ვწყევლით ბილწ ნესტორს, თეოდოროსს, დიოდოროსს, მათ წიგნებს და მათ მოზიარეთ; ბარწუმას, ინწიჰნას და მათ ბილწ კანონებს; თეოდორიტოსს, ქალკედონის კრებას, ლეონის ტომარს, აპოლინარიოსს, ევტიქოსს, სეველოსს და მის ხრწნადობის წიგნს...“[9].

სომეხთა კათალიკოსი იოანე II გაბელენელი (556—571) VI ს-ის 60-იან წლებში წერს ალბანელ ეპისკოპოსებს:

> „ვწყევლით იბას, აკაკს, ბარწუმას ნიზიბინიდან, რომლებიც დაემორჩილნენ ნესტორის კრებას და მრავალთა წარწყმედის მიზეზნი გახდნენ, სეველოსს და მის ხრწნადობის წიგნს, აგრეთვე ყველას მათ, ვინც ეს ირწმუნეს, დაემორჩილნენ მათ ულმრთო, მომაკვდინებელ მოძღვრებას — ვწყევლით“[10].

ასეთსავე ვითარებას ვხვდებით დვინის 606 წლის კანონებსა[11] და ვრთანეს ქერდოლის ეპისტოლეში კირონ ქართლის კათალიკოსისადმი[12].

კომიტას სომეხთა კათალიკოსი (615—628) თავის მრწამსში ძე ღვთისას განხორციელების იდეას ზუსტად ივლიანიტური ფორმულით გადმოსცემს:

> „...მხოლოდშობილმა ძემ ღვთისამ მამის, თავისი და სული წმიდის ნებით ჩვენ სახსნელად დაამდაბლა ზეცა, გარდამოვიდა, ქალწულის საშოში შემოსა ხორცი წმიდა ქალწულის ღვთისმშობელ მარიამისაგან და შეერწყა უკვდავი მოკვდავს, ხრწნადი და მოკვდავი თავის უკვდავ ღვთაებრიობას შერთო და შეუერთა და ჰყო უხრწნადი“[13].

630-იანი წლებიდან VIII ს-ის დასაწყისამდე სომხეთის ეკლესიის ოფიციალური კურსი ძირითადად უკვე ქალკედონურია, ამიტომ ცალკე მოღვაწეთა შეხედულებებს ჩვენი საკითხისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა მონოფიზიტურ თხზულებებში ამ ხანებშიც ივლიანიტობას ვხვდებით.

ამგვარად, არსენი საფარელის „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“ 680—700 წლებში რომ იყოს

---

[9] **Ցիրք բղթոց**, Տփղ., 1901, გვ. 56.

[10] იქვე, გვ. 83.

[11] ეპისტოლეთა წიგნი, გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1968, გვ. 56.

[12] იქვე, გვ. 41.

[13] **Ցիրք բղթոց**, გვ 213.

დაწერილი, სომხური ეკლესიის მრწამსი მასში იაკობიტურად („სჯული იაკობითად") არ იქნებოდა გამოცხადებული.

სომხური და სირიულ-იაკობიტური ეკლესიების დასაახლოვებლად პირველი ნაბიჯები გადაიდგა 726 წლის მანაზკერტის კრებაზე კათალიკოს იოანე ოძუნელის (717—728) დროს. სომხური და სირიული წყაროების მანაზკერტის კრების შესახებ მრავალრიცხოვანია, მაგრამ ერთსულოვანი არ არის, ვინაიდან ორივე ეკლესიის წარმომადგენლები ცდილობენ კრების შედეგები თავის სასარგებლოდ გაიგონ.

მანაზკერტის კრების მიზანი სომხეთში მონოფიზიტობის აღდგენის გარდა იყო დაახლოება სევერიანულ-იაკობიტურ ეკლესიასთან, რომლის წარმომადგენლებიც სირიიდან ჩავიდნენ სომხეთში. კავშირის დასამყარებლად საჭირო იყო საერთო დოგმატური საფუძვლის გამოძებნა. სომხებს დაჭირდებოდათ შეერბილებინათ მოძღვრება ქრისტეს ხორცის „უხრწნადობის" შესახებ, ხოლო სირიელებს რამენაირად სომეხთათვის მისაღებად უნდა განემარტათ „ხრწნადობის" თეზისი. როგორც ჩანს, ორივე მხარე წავიდა დათმობებზე და კრებამ მიაღწია ერთობას. მიქაელ ასურთან დაცული „შეჩვენებების" მიხედვით ირკვევა, რომ სომხებს დაუგმიათ მემარცხენე ივლიანიტები, ე. წ. აქტისტები, რომელთა შეხედულებითაც ქრისტეს ხორცი არა მარტო უხრწნელია, არამედ შეუქმნელიც (ἄκτιστον) არის. სამაგიეროდ, იაკობიტებმა აღიარეს უხრწნელობა განხორციელებიდან აღდგომამდე. მაგრამ ერთობა, როგორც ჩანს, სუსტი და ხელოვნური იყო. ბარ-ჰებრეოსის სიტყვებით, „სომხები მოკლე ხნის შემდეგ კვლავ დაუბრუნდნენ ივლიანეს ძველ დოგმატს". მართლაც, სომეხ ისტორიკოსებთან შემონახული მანაზკერტის კრების „შეჩვენებანი" ფაქტიურად ისევ ივლიანიტურია და მათში დაწყევლილნი არიან ისინი, ვინც არ აღიარებენ ქრისტეს ხორცს უხრწნელად განხორციელებიდან უკუნისამდე[14].

სომხური ეკლესიის პოზიციაში მომხდარი სწრაფი შემოტრიალებისათვის დამახასიათებელია ცნობა, რომელსაც იძლევა თხზულება სათაურით „კრებათა შესახებ", და რომელიც მიეწერება თვითონ მანაზკერტის კრების მეთაურს იოანე ოძუნელს:

> „მოვიდნენ ჩემთან ვიღაც კაცები, ექვსი ეპისკოპოსი იაკობიკთა სახლიდან, ჩვენთან აღსარების ერთობისათვის. მათი სახელებია: პირველი — კოსტანდინე ეპისკოპოსი, მეორე — ქალაქ ურჰას მიტროპოლიტი, მესამე — შმავონ ხარანის ეპისკოპოსი, მეოთხე — თეოდოს გარდმანთა ეპისკოპოსი, მეხუთე — უფალი ათანას ნფრკერტის ეპისკოპოსი, მეექვსე — თეოდოროს ამასიის ეპისკოპოსი. ყველა ესენი ანტიოქიის არქიეპისკოპოსის ბრძანებით მოვიდნენ ჩვენთან კრებაში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენ შევთანხმდით სარწმუნოებაში, ერთობა ვაღიარეთ და მრავალი სიტყვა მივმართეთ ქალკედონის ორბუნებიანთა წინააღმდეგ, მოვიშორეთ ხრწნადობის ღვარძლი, რომელიც მოდებული

14 სირიული და სომხური წყაროები პარალელურად და სათანადო კომენტარით იხ. წიგნში **Ե. Տէր-Միքաելեան, Հայոց եկեղեցու յարաբերութիւնները Ասորւոց եկեղեցիների հետ**, გვ. 198—202.

იყო ეზრასგან აქამდე მოღწეული, რომლისთვისაც მრავალნი წარწყმდნენ ორბუნებიან სარწმუნოებაში"[15].

როგორც ვხედავთ, იოანე ოძუნელს მანაზკერტის 726 წლის კრებიდან სულ მცირე ხნის შემდეგ (თვითონ 728 წელს გარდაიცვალა) საკითხი ისე აქვს წარმოდგენილი, თითქოს კრების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო იაკობიტების უმთავრესი თეზისის უარყოფა, თითქოს სირიელ იაკობიტებთან შეთანხმება სწორედ ამ ნიადაგზე მოხდა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სომხურ ეკლესიას ქრისტეს სხეულის ხრწნადად გამოცხადება ფაქტიურად ორბუნებიანობის აღიარებად მიაჩნდა, რაც გარკვევით ჩანს არა მარტო იოანე ოძუნელის სიტყვებიდან, არამედ იოანე გაბელენელის ეპისტოლეს ზემოთ მოტანილი ციტატიდანაც. ეს კი უკვე აშკარად ივლიანიტური პოზიციაა:

„თუ ქრისტეს ხორცი ხრწნადია, მაშინ ღვთის სიტყვაში განსხვავებულობას ვხედავთ, ხოლო თუ განსხვავებულობას დავინახავთ, მივიღებთ ქრისტეში ორ ბუნებას და რაღად ვებრძვით მაშინ ქალკედონის კრებას", — ასე ასაბუთებდა ივლიანე ჰალიკარნასელი თავის პოზიციას სევეროს ანტიოქელთან პოლემიკაში.

იაკობიტებთან დაახლოება და კრებაზე საერთო პლატფორმის გამონახვა, ჩანს, შესაძლებელი გახადა სომხეთში ქალკედონიტობის თითქმის საუკუნოვანმა ბატონობამ. ეტყობა, ამ ხნის მანძილზე, მიუხედავად იოანე მაირაგომელის და მისი მოწაფეების თავგამოდებული ბრძოლისა, სომხური საეკლესიო წრე მიეჩვია ქრისტეში კაცებრივი ბუნების გარჩევის იდეას ამა თუ იმ დონეზე, მაგრამ იმავე ქალკედონიტობის გავლენის სრულად აღმოსაფხვრელად მალე საჭირო გახდა მასთან ახლოს მდგარი მონოფიზიტური მოძღვრებების სრული უარყოფა. ამიტომ დაიწყევლა კვლავ სევერიანულ-იაკობიტური მოძღვრება „ხრწნადობის" შესახებ, მაგრამ ერთხელ უკვე ერესიარქად გამოცხადებული ივლიანე ჰალიკარნასელი მაინც ვეღარ აღდგა თავის ძველ უფლებებში, თუმცა ბევრი გამოჩენილი სომეხი თეოლოგი მთლიანად მის მოძღვრებას იზიარებდა და თვითონ მას კი „წმიდას" უწოდებდა (მაგ. სტეფანე სივნიელი)[16].

ამრიგად, შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ მეზობელმა ეკლესიებმა მანაზკერტის 726 წლის კრებაზე სომხებისა და სირიელი იაკობიტების თანამშრომლობა სომხური ეკლესიის მიერ იაკობიტობის აღიარებად გაიგეს. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, თუ არსენი საფარელის თხზულების დათარიღებას 726—736 წლებით განვიზრახავთ, უნდა შემოვიფარგლოთ 726—727 წლებით, რადგან სომხებმა მალევე უარყვეს აღნიშნული ერთობა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ერთ წელიწადში ქართლში კრების შესახებ ინფორმაციაც მიეღოთ და ქართლის კათალიკოსს იმავე ერთ წელიწადში მოესწრო უცხო წყაროების ასე ფართოდ გამოყენებით მთელი აღმოსავლეთის რამდენიმე საუკუნოვანი პოლიტიკურ-იდეოლოგიური ისტორიის დაწერა.

სირიულ-იაკობიტური და სომხური ეკლესიების დაახლოების ცდები, როგორც ჩანს, მაინც გრძელდებოდა. IX ს-ის II ნახევარში ქალკედონურ ეკლესიაში ხმა გავრცელებულა სომეხთა შორის იაკობიტობის გავრცელების

---

[15] Գիրք թղթոց. გვ. 224.

[16] Ստեփաննոսի Սիւնեաց եպիսկոպոսի, Մեծի Իմաստասերի Պատասխանի թղթոյն Անտիոքու եպիսկոպոսի՝ զոր վասն հաւատոյ զրեալն էր: Գիրք թղթոց, გვ. 333.

შესახებ. 857—875 წლებში ფოტიოს კონსტანტინეპოლელს (857—867, 878—886) მიუმართავს ზაქარია სომეხთა კათალიკოსისათვის ეპისტოლეთი, რომელშიც იგი სომხებს სხვა წვალებებთან ერთად იაკობ წანწალოსის (ბარადაიოსის) მიმდევრობასაც უკიჟინებდა. სომხებს ეს ბრალდება, ჩანს, ადვილად უარუყვიათ, რის გამოც კმაყოფილი ფოტიოსი უთვლის ზაქარიას:

„რომ გითქვამთ, არა ვართო მოწაფენი იაკობ წანწალოსისა, რომლის სახელითაც იაკობიტები იწოდებიან, არც ივლიანე ანტიოქელის და არც ევტიქესი, არამედ წმიდა მოწამისა და მთელი ჩრდილოეთის განმანათლებლის გრიგოლისაო, დიდად გავიხარეთ“[17].

ვინაიდან იაკობიტობის გვერდით დასახელებულია მისი ანტიპოდური მოძღვრება ივლიანიტობაც, უნდა ვიფიქროთ, რომ ფოტიოსი ზაქარიას საერთოდ მონოფიზიტობას უკიჟინებს და მისთვის მთლად ნათელი არ არის, კონკრეტულად რომელ მიმდინარეობას ადგას სომხური ეკლესია. მართლაც, ეს ის პერიოდია, როდესაც სომხური ეკლესია წყევლის ყველა მონოფიზიტ ერესიარქს, მათ შორის სევეროს ანტიოქელსა და ივლიანე ჰალიკარნასელსაც, თუმცა მისი მრწამსი მაინც არსებითად ზომიერად ივლიანიტურია. ერესიარქთა შორის პირველ რიგში იაკობ წანწალოსის დასახელება კი უნდა იყოს კონსტანტინოპოლის ეკლესიისათვის კარგად ცნობილი სომხური და იაკობიტური ეკლესიების დაახლოების ცდების შედეგი.

XI ს-ის II ნახევრიდან უკვე აშკარად ჩანს სომხური და სირიულ-იაკობიტური ეკლესიების თანხმობა დოგმატურ საკითხებში. გრიგოლ მაგისტროსის ეპისტოლეში სირიის კათალიკოსისადმი, რომელსაც 1058/59 წ. ათარიღებენ, ვკითხულობთ:

„ჩვენ თქვენგან არაფერს ვითხოვთ სარწმუნოების გამო, რადგან ერთობით და კეთილსახეობით გამდიდრებულნი ხართ: ჩვენთან და ჩვენს საპატრიარქოში შენს სიწმიდეს, როგორც წმიდა კირილეს და სამგზის ნეტარ მამებს, რომლებიც ეგვიპტეში იყვნენ, ისე გთვლით — თანამოსაყდრედ, თანამწირველად და მით უფრო თანამღვდლად — ხელს-ვისხამთ თქვენგან და ხელს-გასხამთ და ყველაფერს ვაკეთებთ ერთნებად, რაც კი მღვდელმსახურებას შეჰფერის“[18].

ამიერიდან კამათი სომხურსა და სირიულ-იაკობიტურ ეკლესიას შორის მხოლოდ საწესო საკითხებს ეხება და სულ უფრო შემწყნარებელ ხასიათს იღებს, ხოლო XII საუკუნეში, სომეხთა კათალიკოსის ნერსეს შნორჰალის დროს (1166—1173) თანამშრომლობა ამ ორ ეკლესიას შორის განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება[19]. ამის მიუხედავად სომხური ეკლესია იაკობიტური მაინც არ გამხდარა, მაგრამ ივლიანე ჰალიკარნასელის ერეტიკოსად გამოცხადება და მემარცხენე ივლიანიტური პოზიციების დაგმობა მეზობელ ეკლესიებს შეიძლებოდა მიეჩნიათ იაკობიტობის შეფარულ აღიარებად.

---

[17] Թուղթ Փաւստոս պատրիարքի առ Զաքարիայ կաթուղիկոս Հայոց Մեծաց վասն երկու միաւորեալ բնութեանց մի անձնաւորութիւն գոլոյ տեառն մերոյ Յիսուսի Քրիստոսի և վասն ձշմարտախաւսութեան ժողովոյ սուրբ հարցն՝ որ ի քաղկեդոն: Православный Палестинский сборник, т. XI, в. 1, С.-Пет., 1892, გვ. 180.

[18] Ե. Տէր-Մինասեանց, Հայոց եկեղեցու..., გვ. 239.

[19] იქვე, გვ. 271—288.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ არსენი საფარელის ჩვენებას, რომლის გაკონტროლების ცდაა წინამდებარე წერილი, ქართული ეკლესიის მიერ სომხების იაკობიტებად გამოცხადების პირველ შემთხვევად უნდა მივიჩნიოთ ექვთიმე მთაწმიდლის მიერ 991—998 წლებში შედგენილი „მცირე სჯულის კანონი“:

> „რომელნიცა მოიქცნენ წვალებისაგან და მოვიდენ კათოლიკე ეკლესიად და შეერთნენ ნაწილსა მართლმადიდებელთასა, ესრეთ ჯერ-არს შეწყნარებაჲ მათი: არიანოზნი და მაკედონიანოზნი და ნავატიანოზნი, რომელნი სახელ-სდებენ თავთა თჳსთა განწმედილად და მეათოთხმეტენი და მარცხენენი და აპოლინარელნი და ნესტორნი და იაკობნი, რომელთაგანნი არიან სომეხნიცა, და მარკიანელნი და უალენტიანელნი და მსგავსნი ამათნი, ამათ მწვალებელთაგან რომელნიცა მოიქცენ, ესრეთ შევიწყნარნეთ“...[20].

ხაზგასმული სიტყვები ექვთიმე მთაწმიდლის დამატებაა და ტრულის 692 წლის კანონებში არა გვხვდება. რატომ დასჭირდა ექვთიმეს ჩამატება სიტყვებისა: „იაკობიკნი, რომელთაგანნი არიან სომეხნიცა“?. ვფიქრობთ იმიტომ, რომ მთელს ამ მე-80 მუხლში (ტრულის 95), რომელიც მწვალებლობიდან მოქცეულთა შეწყნარების წესებს ეხება, ჩამოთვლილ ერესებს შორის (ქვემოთ კიდევ დასახელებული არიან: „პავლუკიანნი და მანიქეველნი და ევნომიანელნი... და მონტანელნი იგი ბილწნი და საბელიანოზნი...“) მონოფიზიტობა ნახსენები არ არის, ხოლო ექვთიმესათვის „იაკობიკნი“, ჩანს, საერთოდ მონოფიზიტებს მოიცავს. ეს აძლევს მას უფლებას, სომხებიც მათ რიცხვს მიაკუთვნოს. ამის მოწმობა უნდა იყოს „მცირე სჯულის კანონის“ მე-16 მუხლში (ტრულის 55) მის მიერ დამატებული მსჯელობა „არაჯავორის“ მარხვის შესახებ, „რომელსა იმარხვენ იაკობიკნი მწვალებელნი“. „არაჯავორი“ მხოლოდ სომხური ეკლესიის ტრადიციული მარხვაა, იაკობიტებს იგი არა აქვთ, და თუ ექვთიმე მაინც მათ მიაწერს, კვლავ ის უნდა ვიფიქროთ, რომ მისთვის იაკობიტობა საერთოდ მონოფიზიტობის ბადალია.

X—XII საუკუნეებში აღმოსავლეთში მხოლოდ ორი ძლიერი მონოფიზიტური ეკლესია იყო საერთაშორისო ასპარეზზე: სირიულ-იაკობიტური და სომხური. ამიტომ კონსტანტინოპოლის ეკლესიას მთელი მონოფიზიტური ფრონტის შესაჩვენებლად, როგორც ჩანს, საკმარისად მიაჩნდა „სომეხთა და იაკობიტთა“ შეჩვენება. ამის ნიმუშია „Περι 'Αρμενίων καὶ 'Ιακωβιτῶν“ („სომეხთა და იაკობიტთა შესახებ“), რომელშიც ყველა მონოფიზიტი ერესიარქია დასახელებული. ეს ტექსტი ქართულადაც არის თარგმნილი და მისი სათაური დაზუსტებულია სწორედ ჩვენ მიერ ნავარაუდევი იგივეობის (იაკობიტები და სომეხნი=მონოფიზიტები) გათვალისწინებით: „შეჩვენებანი იაკობიტთა და ყოველთა ერთ-ბუნებიანთანი, რომელთა თანა არიან სომეხნიცა“. ვარაუდობენ, რომ ქართული „შეჩვენებანის“ ბერძნული დედანი IX—XI საუკუნეებში უნდა იყოს შექმნილი[21]. საგულისხმოა, რომ მასში და აგრეთვე მის

---

20 მცირე სჯულის კანონი, გამოსაცემად მოამზადა ე ლ გ უ ჯ ა გ ი უ ნ ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1972. გვ. 71.

21 მ. რ ა ფ ა ვ ა, უცნობი ავტორის ანტიმონოფიზიტური ტრაქტატი, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1975, № 1, გვ. 26—27; იქვე იხ. ქართული ტექსტი და მითითება მის დედანზე.

ქართულ თარგმანში იაკობიტობასა და სომხობას („ხაჩეცარნი“) შორის ჯერ არ არის იგივეობის ნიშანი, რომელიც X ს-ის მიწურულს დასვა ექვთიმე მთაწმინდელმა.

ჩვენთვის ამჟამად საინტერესო თვალსაზრისით საგულისხმო ვითარება გვაქვს არსენი ვაჩესძის „დოგმატიკონში“ მოთავსებულ ანტიმონოფიზიტურ ტრაქტატში „თავნი ოცდაათნი სომეხთა წვალებისანი“, რომლის ბერძნული დედანი VIII საუკუნეში უნდა იყოს შექმნილი. ამ ტექსტში ჩამოთვლილია მონოთელიტი ერესიარქები და მათ შორის, რა თქმა უნდა, არც სევეროსი გვხვდება და არც იაკობ ბარადაიოსი (წანწალოსი). მაგრამ მის სომხურ თარგმანში, რომელსაც სათაურად აქვს „*Պատասխանի առ Հայս*“ („სიტყვის-გება სომეხთა მიმართ“) და ათარიღებენ XIII ს-ის დამდეგით. უკვე ვკითხულობთ:

> „პირველად ამას ამბობენ [სომეხნი], რომ ძე ღმრთისა განხორციელების შემდეგ ერთი ბუნების, ერთი ნებისა და ერთი მოქმედებისაა — ორისაგან შერეული და ერთად ქცეული. ეს არის აღსარება სერგისი, პიროსისი, პავლე სამოსატელის, ევტიქესი, დიოსკორესი, სევეროსისი, ცრუ ეპიფანესი, პარსუმასი, აბდიშოსი, იაკობ წანწალოსისი და სხვათა“[22].

მოტანილ სიაში მონოთელიტების გვერდით თითქმის ყველა მონოფიზიტი ერესიარქია დასახელებული და მათ შორის მხოლოდ ერთი ივლიანიტი (აბდიშო) გვხვდება. სამაგიეროდ, იაკობიტთაგან სევეროს ანტიოქელთან ერთად მოხსენიებულია თვითონ იაკობ წანწალოსიც. ამასთანავე ქალკედონიტურ ლიტერატურაში მოგვიანებით აბდიშოსაც იაკობიტს უწოდებენ[23]. ასე რომ, „სიტყვის-გებას“ თავდაპირველი მონოფიზიტებიდან (ევტიქე, დიოსკორე) ყურადღება მთლიანად იაკობიტ ერესიარქებზე გადააქვს, რაც ცხადია, გამოწვეულია სირიულ-იაკობიტური და სომხური ეკლესიების დაახლოებით ამ ხანებში.

არსენი საფარელის მიერ აღწერილი რელიგიური სიტუაცია VI ს-ის აღმოსავლეთში ასეთია: სპარსეთის ქვეშევრდომ ქვეყნებში სამი ქრისტიანული ეკლესიაა — ნესტორიანული, იაკობიტური და მელქიტური (ქალკედონური). სომხებს წინადადება ეძლევათ მელქიტურის გარდა რომელიმე ამათგანი აირჩიონ. სომხები არჩევანს იაკობიტობაზე შეაჩერებენ. სპარსეთის მეფემ მათ ამ სარწმუნოების განსამტკიცებლად „მიუვლინნა მოძღუარნი იაკობნი ბოროტნი ცხრანი“. არსენის მიერ დასახელებულ მოძღვრებს შორის სავარაუდო იაკობიტებს გარდა დასახელებული არიან ან აშკარა ივლიანიტები და მათი წიგნები (თვითონ ივლიანე ჰალიკარნასელისაც!), ან სევეროს ანტიოქელსა და იაკობ ბარადაიოსზე ადრე მოღვაწე მონოფიზიტებიც (პეტრე მკაწვრალი, ტიმოთე კვერნი) ვფიქრობთ იმიტომ, რომ არსენი იაკობიტობაში მთლიანად მონოფიზიტობას გულისხმობს, როგორც ამას გულისხმობდა ექვთიმე მთაწმიდელი.

---

[22] ზ. ალექსიძე, არსენი ვაჩესძის „დოგმატიკონში“ შესული ანტიმონოფიზიტური ტრაქტატი და მისი გამოძახილი ძველ სომხურ მწერლობაში, „მრავალთავი“, I, თბ., 1971. გვ. 146.

[23] Καθολικοὶ τῆς Μεγάλης Ἀρμενίας, Narratio, გვ. 404; მოთხრობა პატიმოთინისაგან, თ. ჟორდანია, ქრონიკები I, ტფ., 1892, გვ. 338; Narratio, გვ. 409; სიტყვა-გებაჲ ეფთჳმე გრძელისა სოსთენის მიმართ, სომეხთა მოძღურისა, „საქართველოს სამოთხე“. გვ. 617.

ამრიგად, X-XIII სს-ის ქართულ მწერლობაში მონოფიზიტობას ზოგჯერ ფარავს ან მარტო იაკობიტობა, ან კიდევ იაკობიტობა და „სომეხთა სჯული“ ერთად. ალბათობა არსენი საფარელის მოღვაწეობის ამავე ხანებით განსაზღვრისა „სჯული იაკობთაჲ“-თ სომეხთა სარწმუნოებისა და საერთოდ მონოფიზიტობის აღნიშვნის გამო გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე უფრო ადრეული პერიოდით.

З. Н. АЛЕКСИДЗЕ

К ДАТИРОВКЕ АНТИМОНОФИЗИТСКОГО ТРАКТАТА АРСЕНИЯ САПАРСКОГО «О РАЗДЕЛЕНИИ КАРТЛИ И АРМЕНИИ»

(sǯuli iakobtaj)

Резюме

Вероятность появления термина sǯuli iakobtaj (яковитство) в трактате Арсения Сапарского для обозначения вероисповедания армянской монофизитской церкви в статье датируется периодом не ранее X—XIII веков. По мнению автора статьи, такая датировка лучше увязывается с общей историей армяно-сирийских (яковитских) церковных взаимоотношений и подтверждается показаниями других халкедонитских источников.